პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 ივნისი, შაბათი, 1987 წ.
№ 123 (9534) ◆ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დღეს, 27 ივნისს. საბჭოთა ახალგაზრდობის დღესთან დაკავშირებით თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე — საქართველოს სპორტსახკომი და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი აწყობენ ერთდროულ სეანსს ჭადრაკში 500 დაფაზე. მოყვარულები შეხვდებიან ოსტატებს და დიდოსტატებს. დასაწყისი 19 საათზე.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1987 წლის 25 ივნისს მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა. პლენუმის განსახილველად დამოტანილია საკითხი „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მარგების ძირეული გარდაქმნის საქმეში“. ამ საკითხზე მოხსენება აკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ წინასწარ ეცნობოდნენ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების თეზისებს, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნის საკითხებზე მშრომელთა წერილების მიმოხილვას.

ხსდომაზე მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოდნენ: ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვოროტნიკოვი — რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ნ. ელცინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ტ. ბოდილოვი — ტაშკენტის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხარატთა ბრიგადირი, ბ. პ. ბოგომოლოვი — სკკპ ტიუმენის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ნ. ზაიკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბ. ვ. კოლბინი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. ნიკონოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. კ. ბესიასაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ვ. ტალიზინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, მ. ბ. ვაგენი — გორკის ოლქის კოვერნინოს რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ა. ა. ლოგუნოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პ. მ. ტელეპნევი — სკკპ არხანგელსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ჯ. ი. ბატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. პ. ბატალინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე.

26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.



„ჩემპიონატი წყალში ხტომაში. სურათზეა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი წყალში მხტომელი გიორგი ჩოგოვაძე, რომელიც ამჟამადაც რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა სამმეტრიან ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში.“

(იხ. მე-3 გვ.).

70

ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები ● წყალბურთი

ბრძოლა კი თანაბარი იყო



საქართველო (ნაკრები) — სამხრეთი ზონა (ნაკრები). 13:14 (ძირითადი დრო 8:8).

შემადგენლობები

საქართველო (ნაკრები): პოსოხოვი, გონაძე, პატარიძე, მახარაძე, ტატიშვილი, ბეჟანიშვილი, ბურდული, დავითიანი, გრიგოლია, ცხომელიძე, გოგიჩევი.

სამხრეთი ზონა (ნაკრები): კონიუხოვი, ანდრონოვი, ალექსეევი, მუტასოვი, შინკორენკო, ზაბოროვსკი, ზაგორუიკო, ტუკუმოვი, ფედოროვი, ჩერნოუსოვი.

ამ მატჩში თითქმის ყველაფერი იყო, რაც რეგლამენტითაა გათვალისწინებული: ძირითადი დრო, ორი დამატებითი ტაიმი, ოთხმეტრიანების სერია და... კიდევ ოთხმეტრიანები პირველ შეცდომამდე. ამ მეტად დაძაბული და ჭეშმარიტად დრამატული მატჩის მონაწილეებმა — საქართველოსა და სამხრეთის ზონის (სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ნაკრები) ნორჩმა წყალბურთელებმა ნამდვილად კარგი გაკვეთილი მიიღეს. ერთ მატჩში მთლიანად გამოვლინდა, ვის რა ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი გააჩნია, როგორია მათი ფიზიკური და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური მომზადების დონე და ა. შ. სამდურავი არც ერთ გუნდს არ ეთქმის. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. თავდაუზოგავად ითამაშეს ლიდერებმა: ჩვენი გუნდის წევრთაგან დავითიანმა, სტუმართაგან კი — ზაბოროვსკიმ. მათ ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს.

გთავაზობთ მატჩის მოკლე სტენოგრამას. პირველი წუთი. ბურთი მეტოქის კარში გააქვს ზაბოროვსკის — 1:0. ორი წუთის შემდეგ ჩვენი წყალბურთელები ვერ იყენებენ ანგარიშის გათანაბრების რეალურ შესაძლებლობას — (მხედველობაში გვაქვს 4-მეტრიანი საჯარიმო). სულ მალე ერთ-ერთი შეტევის შემდეგ დავითიანის მიერ დარტყმული ბურთი ძელს ხვდება, თუმცა სულ რამდენიმე წამში მასვე გააქვს ლამაზი გოლი — 1:1.

მეორე პერიოდი. პირველსავე წუთებზე კვლავ დავითიანს გააქვს ბურთი — 2:1. მეტოქე რიცხობრივი უპირატესობის შედეგად ათანაბრებს ანგარიშს — 2:2. პერიოდის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე ბურდული აწინაურებს თავისიანებს — 3:2.

მესამე პერიოდი. მეტოქეებს ორ-ორი ბურთი გააგეთ — 5:4 (სა-

იხ. მე-4 გვ.

ჩიბურდანიძისა და პოლგარის მონაწილეობით

ბილბაოში (ესპანეთი) მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის VII ტურში ახალ წარმატებას მიაღწია მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. ამჯერად მან იუგოსლავიელ დიდოსტატ ლიუბომირ ლიუბოევიჩს სძლია. შეგახსენებთ, რომ ლიუბოევიჩი მსოფლიო საჭადრაკო კლასიფიკაციით VI ადგილზეა.

ამ ტურში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მოუგო ესპანელ ფრანსისკო ოჩოას, ანდრეი სოკოლოვი დაუზავდა უნგრელ დიდოსტატ ჭალს ჟუჟა პოლგარს. ილესკასი (ესპანეთი) დამარცხდა თანამემამულე ჟოზე გარსია ფერნანდესთან, ფელიქს ჩავარი აზეტამ (ესპანეთი) სძლია შვედ ულფ ანდერსონს.

7 ტურის შემდეგ კარპოვს 6 ქულა აქვს, ანდერსონს — 5, ჩიბურდანიძეს — 4,5, ლიუბოევიჩს — 4, სოკოლოვს — 3,5, პოლგარს — 3.



ხვალ,

28 ივნისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება დოლი ახალთეძური და წმინდა სისხლიანი ცხენების მონაწილეობით. გათამაშდება ტრადიციული ჯილდოები, ჩატარდება ასპარეზობა „სტიპლჩეიზში“, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რსფსრ-ის, სომხეთის და საქართველოს საუკეთესო მხედრები. იმუშავებს ტოტალიზატორი. გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის“ რიგგარეშე შესაძენად. **დასაწყისი 12 საათზე.**

საქართველოს სპორტსახკომში საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

როგორც მკითხველებმა იციან, გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ 23 და 25 ივნისს გამოაქვეყნა ორი კრიტიკული წერილი („თავაშვებულნი“, „რეისი 152 უხმობს მილიციას“). პირველი წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის მიერ კრასნოიარსკიდან მოსკოვში მომავალ თვითმფრინავში ჩადენილი ცინიკური, ყოვლად საძრახისი საქციელის შესახებ, ჩვენმა გაზეთმაც გადმობეჭდა.

როგორც „სოვეტსკი სპორტის“ მეორე პუბლიკაციით გახდა ცნობილი, მომხდარი ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. კრასნოიარსკის სასტუმროში ცხოვრებიდან თვითმფრინავში ჩასხდომამდე განვლილ მთელ პერიოდში თბილისელ რეგბისტთა გუნდი იქცეოდა გამომწვევად, ხჩადიოდა სპორტსმენისათვის შეუფერებელ საქციელს. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ მომხდარ ამბებზე არავითარ რეაგირებას არ ახდენდნენ გუნდის კაპიტანი თ. შერეზაშვილი, კომორგი მ. ჭეიშვილი და მწვრთნელი თ. მგელაძე.

ცალკეულ მოთამაშეთა და მთლიანად გუნდის თავაშვებულ, უპრეცედენტო მოქმედებას საფუძველს უქმნიდა ისიც, რომ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საგაზაო საბჭოს ხელმძღვანელობა (თ. ქობულაძე, ამჟამად ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელთა ფიზიკური აღზრდის განყოფილების უფროსი) ძალიან მცირე ყურადღებას უთმობს სპორტსმენთა ზნეობრივ აღზრდას. ასევე უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია მთლიანად აღმზრდელობითი მუშაობა, არ იგრძნობა მწვრთნელთა შემადგენლობისა და კომკავშირული ორგანიზაციის მომთხოვნელობა. სპორტსმენთა ზნეობრივი აღზრდის საკითხში სერიოზულ გადახედვას საჭიროებს რესპუბლიკის სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების შეხედულებანი განყოფილებების დამოკიდებულება.

რკინიგზელ რეგბისტთა გუნდის პრობლემებისადმი არაჯანმრთელი ყურადღებას იჩენდნენ გზის ხელმძღვანელობა (ლ. ბერძენიშვილი) და დარგის პროფკავშირი (რ. ბუგაინიშვილი).

მისცეს რა მკაცრი შეფასება მომხდარ ფაქტს, საქართველოს სპო-

იხ. მე-3 გვ.

ბიოგრაფიის ოქროს ფურცელი

ჩემპიონატის ექო

მსგავსი შეცდომა ერთხელ უკვე მოხდა: მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის მსროლელთა ტურნირში ნინო სალუქვაძე პრესაში ორგზის ჩემპიონად გამოაცხადეს (პირად ასპარეზობაში გამარჯვებისთვის) იმ დროს, როცა მას ოთხი ოქროს მედალი ჰქონდა მიღებული (ორიც გუნდურ შეჯიბრებაში). მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მარტო პრესას არ მოგვსვლია ასეწლეულნახევარ საკავშირო ჩემპიონატში ნინოს ოთხგზის გამარჯვებას ულოცავდნენ, მაგრამ მამამისმა, ვახტანგ სალუქვაძემ (იგი ნინოს მწვრთნელია და ქალიშვილს, ცხადია, თან ახლდა შეჯიბრებაზე) თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაგვიზუსტა, რომ მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე ქართველი სპორტსმენისათვის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის შვიდი ოქროს მედალი გადაუციათ — ოთხი პირად, სამიც გუნდურ ასპარეზობაში გამარჯვებისთვის. უნიკალური შედეგია. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტები საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში მეორე ასეთ წარმატებას ვერ იხსენებენ.

პისტოლეტის სროლაში ქალებს ოთხი ვარჯიში აქვთ, რომელთაგან ორი (პპ-5 და პპ-2) ოლიმპიურ დისციპლინად ითვლება. ნინო სალუქვაძემ ჩემპიონის სახელი ოთხივე ვარჯიშში მოიპოვა და დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში უძლიერესი მსროლელია.

მპ-5 ვარჯიში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სრულდება. ნინომ ძირითად შეჯიბრებაში 590 ქულა მოაგროვა (98 ქულა ფინალში)— მრგვალ სამიზნეზე სროლაში 291 ქულა, ფიგურულზე სროლაში— 299 ქულა. სწორედ ამ 590 ქულამ მოუტანა ქართველ სპორტსმენს პირველი ოქროს მედალი. მისი მთავარი კონკურენტების (ნაკრების წევრთა) შედეგები, ცხადია, უფრო დაბალი იყო. ასე მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, როსტოველმა მარინა დობრანჩევამ ძირითად შეჯიბრებაში 587 ქულა დააგროვა, ფინალში — 96 ქულა და ორივეში ჩამორჩა გამარჯვებულს. მეორე კონკურენტს, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, მოსკოველ ირინა კოჩეროვას კიდევ უფრო დაბალი შედეგი ჰქონდა. ძირითად შეჯიბრებაში 584 ქულა მოაგროვა და ფინალში ვერ მოხვდა. არადა, ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება, ტრადიციულად, რვა საუკეთესო შედეგის მქონე მსროლელს აქვს.

ნინო არმიელი სპორტსმენია და ამ შეჯიბრებაში შეიარაღებულ ძალთა ნაკრები გუნდის ღირსებას იცავდა მოსკოველ ტატიანა ტურიშჩევასთან და მინსკელ ლოლიტა ცვეტკოვასთან ერთად. გუნდური შედეგების შეჯამების შემდეგ გამოირკვა, რომ არმიელ მსროლელებს ყველა კონკურენტი-

სათვის უჯობნიათ. ამ სამეულმა ოქროს მედალი გუნდურ შეჯიბრებაშიც მიიღო.

მეორე ოლიმპიურ ვარჯიშში (პპ-2, პნევმატური პისტოლეტით სროლა) ნინოს მთავარი კონკურენტი ისევ მარინა დობრანჩევა იყო. როსტოველ მსროლელს, ცხადია, რევანშის აღება სურდა, მაგრამ ნინო ამჯერადაც შეუდარებელი იყო: ზუსტად და მშვიდად ისროდა. ძირითადი შეჯიბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონი მიზანს ვერც ამჯერად მიაღწევდა. ნინომ 390 ქულა მოაგროვა, დობრანჩევამ ორით ნაკლები. ქართველი მსროლელი ფინალშიც უკეთ ისროდა (100,5 ქულა 97,8 ქულის საწინააღმდეგოდ) და მეტოქეს ფაქტიურად ყველა იმედი გადაუწურა. ნინოს თანაგუნდელმა, ევროპის წლეულნახევარ ჩემპიონმა ლოლიტა ცვეტკოვამ მხოლოდ 369 ქულა მიიღო და ფინალში გასვლა ვერ მოახერხა. ამან არმიელთა კოლექტივი შესამჩნევად დახია უკან და გუნდური ოქროს მედლების გარეშეც დატოვა.

დანარჩენი ოქროს მედლები (ორი პირადი და ორიც გუნდური) ნინო სალუქვაძემ არაოლიმპიურ ვარჯიშებში (მპ-10 და მპ-3) გამარჯვებისთვის მოიპოვა. მცირეკალიბრიანი სტანდარტული პისტოლეტით 60 გასროლაში სპორტის ოსტატის ნორმატივი 570 ქულაა. ნინომ ამ ნორმატივს გადააჭარბა, 575 ქულა მოაგროვა და ერთადერთმა მისცა გუნდს ჩასათვლელი ქულები.

არმიელ სპორტსმენთა გამარჯვება ყველაზე დამაჯერებელი მცირეკალიბრიანი ნებისმიერი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში იყო. აქ ნინომ 282 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. მეორე შედეგი ლოლიტა ცვეტკოვას აღმოაჩნდა, მესამე — ტატიანა ტურიშჩევას (ორივემ ქულათა თანაბარი რაოდენობა—280-280 მოაგროვა). ასე რომ, ნინოს ჯილდოების რიცხვი ამ ვარჯიშის შემდეგ პირადში ოთხი, გუნდურში კი სამი ოქროს მედლით განისაზღვრა.

ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკის კიდევ რამდენიმე მსროლელმა გამოიჩინა თავი. დინამოელმა ილარიონ ჩაგანავამ, მაგალითად, გაქცეულ ტახზე სროლაში გამართულ გუნდურ შეჯიბრებაში ოქროს მედალი დაისაკუთრა. პროფკავშირების ნაკრების წევრმა მეგი ხუბულაშვილმა მპ-3 ვარჯიშში გუნდის სხვა წევრებთან ერთად ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა, ხოლო არმიელი ანდრეი დოლგარიოვი ჩქაროსნულ სროლაში (მპ-8 ვარჯიში) წარმატებისთვის (591 ქულა) სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების კანდიდატთა სიაში შეიყვანეს.

ნინო სალუქვაძის ესოდენ დიდი წარმატება, ცხადია, არ იყო მოულოდნელი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ სპორტსმენი და მისი მწვრთნელი ვახტანგ სალუქვაძე მოსკოვში დიდი გეგმებით ჩავიდნენ. ნინომ წლეულნახევარ სეზონი კარგად დაიწყო და ოპტიმიზმის საფუძველს სწორედ ეს იძლეოდა. მაისში გდრ-ში გამართულ სოციალისტური ქვეყნების არმიელთა შეჯიბრებაში ორი პირველი ადგილი (მპ-5 და პპ-2) დაიკავა. მერე აქედან პირდაპირ მინსკში ჩაფრინდა, სადაც შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობა ტარდებოდა, მაგრამ მხოლოდ შეჯიბრების ბოლოს მიუსწრო: გამოვიდა მპ-5 ვარჯიშში და აქაც ყველას აჯობა, მერე მიუხვნენი. ჩაფრინდა, მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. იქ მპ-5 ვარჯიშში 588 ქულა მოაგროვა (ფინალში 99) და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ვარჯიშში — პპ-2-ში კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა — 385 ქულა (93 ქულა ფინალში). საკავშირო ჩემპიონატისთვის იგი ყოველმხრივ მომზადებული იყო და აკი უნიკალურ წარმატებასაც მიაღწია.

ნინოს მამა მოწაფის წარმატებას მარტივად ხსნის: „აქვს მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა, კარგი ნერვიული სისტემა და ვარჯიშობს, როგორც წესი, კეთილსინდისიერად, არის დამჯერი და ყველაფერს სწრაფად ითვისებს“. მამას შვილის ქება, ცხადია, უჭირს, ამიტომ ზოგ რამეს ჩვენ თვითონ დავუმატებთ. ნინო გამორჩეული ნიჭის პატრონია და ჰყავს ისეთი მაღალკვალიფიციური მრჩეველი, როგორიც ვახტანგ სალუქვაძე გახლავთ. სწორედ ამ ორი ფენომენის შერწყმამ განაპირობა მისი ესოდენ დიდი წარმატება.

ერთი შენიშვნაც: პრესაში ჯიუტად იმეორებენ, რომ ნინო სალუქვაძე 19 წლისაა, მაგრამ 19 წელი მას გაისად, 1 თებერვალს უსრულდება. ასე რომ, მისი ბიოგრაფია დიდ სპორტში ეს-ეს არის დაიწყო (დიდების ჩემპიონატში პირველად შარშან გამოვიდა). საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვახტანგ სალუქვაძემ ბრძანა, ნინოს მომავალი წინ აქვსო. ასეც არის და ჩვენც ამ ნიჭიერი გოგონასაგან ახალ-ახალ გამარჯვებებს ველით.

ნოდარ გუგუშვილი.

ნინო სალუქვაძე და მისი მწვრთნელი ვახტანგ სალუქვაძე ჩემპიონატიდან დაბრუნებისთანავე საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს. კომიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ბაზგასმით ითქვა, რომ ქვეყნის ჩემპიონატში ნინო სალუქვაძის თვალსაჩინო წარმატებამ დიდი სიხარული მოუტანა სპორტის მოყვარულებს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას. ბოლო ხანებში და განსაკუთრებით ქვეყნის ჩემპიონატში სტაბილური გამოსვლა იმედს გვაძლევს, რომ მომავალში ეს ნიჭიერი სპორტსმენი უფრო მაღალ სპორტულ მწვერვალებს დაიპყრობს, მტკიცედ დიმკვიდრებს ადგილს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში და პირველი ქართველი ტყვიის მსროლელი ქალი იქნება, რომელიც ოლიმპიადაში იასპარეზებს.

საწყენი სანერვიანი ბიბლიოთეკა

რამ არის

- **ქვლავ თელავში გამართული ტურნირის შესახებ**
- **რატომ იქცევიან მოზარდები უდისციპლინოდ?**
- **შვილი ნაკრებში ვერ მოხვდა**

რედაქციაში განაწყენებული კაცის წერილი მოვიდა. ღირს ალბათ მისი (ნაწყვეტის მაინც) გამოქვეყნება, რასაკვირველია, ავტორის სტილის დაცვით:

„...თუ იყო ვინმე ისეთი, თელავში მოსწავლე ხელბურთელთა ახლახან ჩატარებულ შეჯიბრზე, რომელსაც ოდნავ მაინც შესტკივა გული საქართველოს სპორტული მომავლისათვის?

ღირდა ეს შეჯიბრება გაცდენილი, დაკარგული დროის ფასად?

არაფერი გსმენიათ? — მით უარესი ჩვენთვის!“.

და ბოლოს, როგორც წესი და რიგია, ხელმოწერა: „ბ. ჩუთლაშვილი“, კონვერტზე საკმაოდ გაურკვეველი მისამართი ეწერა: რუსთავი, XV მ/რ — 9/9“. აქვე იდო „ლელოში“ გამოქვეყნებული რეპლიკის („ახე წინ ვერ წავალთ“) ამონაჭერიც.

ჩვენ ამ შეჯიბრების შესახებ თავის დროზე გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია. მაინც რით იყო ეს „შეჯიბრება“ გამორჩეული ან რა უნდა „გვსმენოდა“ დამატებით მის შესახებ?

დავინტერესდით და ხელბურთის რამდენიმე სპეციალისტსა და სპორტულ მუშაკს მივმართეთ კითხვით, თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სახნავლო ნაწილის გამგემ დავით გაჩეჩილაძემ, რომელსაც განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ დავალებული ჰქონდა აღნიშნული შეჯიბრების (მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ხელბურთელთა ტურნირი 1971-1972 წლებში დაბადებულ ჭაბუკთათვის — თელავი, 6-12 მაისი) ჩატარება, წერილობით გაგვცა პასუხი: „აღნიშნული შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯი იყო თელაველი დავით ქეშიკაშვილი, ჩატარდა საქართველოს განათლების სამინისტროს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის მიხედვით და მისი მიზანი იყო სპორტული სკოლების საკავშირო შეჯიბრებისათვის (თბილისი, ზულინი-აგვისტო) რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატების გასინჯვა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი კარგა ხანია შეიქმნა, მაგრამ ცალკეულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცათ კიდევ ერთხელ გამოეჩინათ თავი და დაემტკიცებინათ, რომ ნაკრების ღირსნი არიან.

შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ თბილისელებს, რომლებიც ნაკრების ბირთვს შეადგენდნენ, ტოლს ვერ უდებენ სხვები, როგორც ტექნიკური ისე ტაქტიკური თუ ფიზიკური მომზადებით. თბილისის ნაკრები (უფროსი მწვრთნელი სპორტის ოსტატი ალექსანდრე ბუციშვილი) მეტოქეებს საშუალოდ 20-30 ბურთის სხვაობით უგებდა. ნაკრებისათვის საბოლოოდ მხოლოდ ერთი „პერიფერიული“ მოთამაშე, ფოთელი პირველთანრიგოსანი გიგლა თითბერია შეარჩიეს. სხვებთან შედარებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თელაველმა ხელბურთელებმა, რომლებიც ბოლო წლებში, როგორც წესი, თბილისელების შემდეგ მეორე საპრიზო ადგილებზე გადიან (როგორც მოზარდებში, ისე მოზრდილებს შორის). ასე იყო ამჯერადაც. შეგახსენებთ დანარჩენ ადგილებზე გასულ გუნდებსაც: III. სამტრედია, IV. ფოთი, V. რუსთავი, VI. ბათუმი, VII. ცხინვალი, VIII. ქუთაისი, IX. სოხუმი, X. მახარაძე.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა. სპორტული დარბაზი მთელი დღე ხელბურთელთა განკარგულებაში იყო. სპორტსმენებს კარგი პირობები ჰქონდათ. დასანანია ის, რომ ზოგიერთი გუნდის (მახარაძე, რუსთავი) წევრები უდისციპლინოდ იქცეოდნენ.

ახლა ისევ დ.გაჩეჩილაძეს მოვუსმინოთ: ცხინვალისა და რუსთავის გუნდების პირველივე დღის შეხვედრის დროს უხეშობისთვის (მეტოქეს ფეხი ჩაარტყა) მოედნიდან თამაშის ბოლომდე გააძევეს რუსთაველი ზ. ჩუთლაშვილი, რომელმაც მატჩის შემდეგ ბოდიში მოუხადა მეტოქესაც და მსაჯებსაც.

მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ბ. ჩუთლაშვილის (იგი ზ. ჩუთლაშვილის მამაა) ეს აღშფოთებული წერილი ნაკარნახევია ინტერესით. როგორც ჩანს, იგი გაანაწყენა იმან, რომ მისი შვილი ვერ მოხვდა ნაკრებში.

ჩვენს სათქმელს იმავე ჩუთლაშვილის (როგორც დავადგინეთ, იგი არ დასწრებია ამ შეჯიბრებას) სიტყვებით დავამთავრებთ: „ღირდა ეს ამბავი გაცდენილი, დაკარგული დროის ფასად?!“

მოკლედ

„ცისკარი“ აბაშაში

აბაშაში ჩატარდა საკავშირო პიონერული სამხედრო-სპორტული თამაშის „ცისკრის“ რაიონული დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის საშუალო და რვაწლიანი სკოლების ნორჩ არმიელთა გუნდებმა.

პირველი იყო მარნის საშუალო სკოლის ნორჩ არმიელთა გუნდი, ხოლო მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ეწრის რვაწლიანი და აბაშის 1-ლი საშუალო სკოლების ნორჩი არმიელები.

იორამ ნიკოლეიშვილი.
(ჩვენი საკ. კორესპონდენტი).

მოელენები და თარიღები

25 თუ 50?

1987 წელს ფიზკულტურის ტექნიკუმის მაშინდელმა დირექტორმა თედო სხირტლაძემ მოსკოვში რეგბის მწვრთნელ-ინსტრუქტორების კურსებზე მიავლინა ცნობილი ალპინისტის პიმენ დვალის ვაჟი, მრავალმხრივი სპორტსმენი გიგა დვალი. კურსების მსმენელებს ამ თამაშის წესები გააცნო ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა და რეგბისტმა ჟან ნომ, რომელმაც ამ თამაშს დიდი პროპაგანდა გაუწია სსრ კავშირში.

მოსკოვიდან დაბრუნებულმა გიგა დვალმა, მწვრთნელთა კადრების მომზადების მიზნით, თბილისში შეკრება-სემინარი ჩაატარა. ამ პერიოდში გუნდები შეიქმნა ფიზკულტურის ტექნიკუმში, სამედიცინო ინსტიტუტსა და საზოგადოება „დინამოში“. საინტერესოა, რომ რეგბის სემინარს ესწრებოდნენ ცნობილი სპორტსმენები, მოკრივეები ლევან ღუდუშაური და ბორის კვინიხიძე, მძლეოსანი ლევან გიორგაძე და სხვები.

1940 წელს გ. დვალის თაოსნობით მოეწყო თბილისის პირველი ჩემპიონატი რეგბიში. გაიმარჯვა „დინამოს“ ნაკრებმა, რომელსაც გ. დვალი წვრთნიდა. თბილისელი რეგბისტები მაშინ დღევანდელი ვაკის პარკის მიდამოებში მოწყობილ სამ მოედანზე ვარჯიშობდნენ, პირველი შეჯიბრება კი „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა.

დადგა მრისხანე 1941 წელი... რეგბისთვის არავის ეცალა. გიგა და რეგბით გატაცებული ბევრი ყმაწვილი ომის პირველი დღეებიდანვე ჩაებნენ ბრძოლაში. სამამულო ომის შემდეგ კიდევ ოთხი წელი მსახურობდა გიგა დვალი საბჭოთა არმიის რიგებში, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულმა მებრძოლმა დემობილიზაციის შემდეგ მთელი თავისი ცხოვრება სპორტს შესწირა.

1987 წლის 18 მარტს, თბილისში, შეროზიას ქუჩაზე, დავით დავითაიას სახელობის რეგბის კლუბის გახსნაზე გიგა დვალმა თქვა: რას წარმოვიდგენდი ნახევარი საუკუნის წინათ, ოდესმე სამი გუნდი თუ გვეყოლებოდა უმაღლეს ლიგაშიო.

50 წლის წინათ წამოწყებული საქმე ულმობელმა ომმა შეაფერხა და მას მხოლოდ 25 წლის შემდეგ მიეცა გასაქანი. 1961 წელს თბილისში შეიქმნა რეგბის პირველი ოფიციალური ორგანო — რეგბის საბჭო.

სხვადასხვა მოგონებებითაა სავსე ეს წლები ამაგდარი ფიზკულტურელის გიგა დვალისთვის. ვეტერანი სპორტსმენი იხსენებს პირველ ენთუზიასტებს, ბევრის გვარი უკვე დავიწყებია, მაგრამ იქნებ თავად „ბიჭებმა“ გაახსენონ თავი?

ბაბრიელ ბარჯაძე.

საქართველოს სპორტსახკომში

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

რტსახკომმა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს:

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კრიტიკა მიჩნეულ იქნეს სწორად. სპორტული კოლექტივის წოდებისათვის შეუფერებელი მოქმედების, ქცევის ნორმების დარღვევის, საბჭოთა სპორტსმენისა და მოქალაქის წოდების შეარცხვენელი საქციელის გამო ჩაითვალოს, რომ თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის ამჟამინდელი შემადგენლობა არ არის ღირსი რესპუბლიკის სახელს იცავდეს საკავშირო შეჯიბრებებში. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტსახკომის წინაშე დაისვას საკითხი თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდის საკავშირო პირველობის თამაშებიდან მოხსნის შესახებ.

გუნდის ის წევრებს, რომლებიც მოიხდარი ამბის მონაწილენი იყვნენ, მიეცეთ დისკვალიფიკაცია.

გუნდის თავის ნებაზე მიშვებისათვის, კოლექტივში დისციპლინის არასაკმარისი დონისთვის, რაც აღნიშნული ფაქტების მიზეზი გახდა, თბილისის „ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის უფროსი მწვრთნელი თ. შგელაძე მოიხსნას დაკავებული თანამდებობიდან და აეკრძალოს რეგბისტთა გუნდებში მწვრთნელის თანამდებობებზე მუშაობა.

იმის გამო, რომ ვერ შეძლო უზრუნველეყო სპორტსმენთა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი აღზრდის სათანადო დონე, აგრეთვე ქვეყაუწყებო ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩარხულში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის, რკინიგზის პროფკავშირების ფიზიკურ აღზრდის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ყოფილი თავმჯდომარის თ. ჭიბუღავის შუშაობა ჩაითვალის მიზანშეუწონლად. მოცემული საკითხი დაისვას საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე.

კომკავშირის წევრის მორალისათვის შეუფერებელი საქციელის გამო, გუნდის ღირებითი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს მ. ჭეიშვილს გამოეცხადოს საყვედური საყრიცხვო ბარათში შეტანით. კომკავშირულ გუნდის სხვა წევრებს დაედოთ მკაცრი კომკავშირული სასჯელები.

საქართველოს სსრ სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეებმა განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ სპორტულ კოლექტივებში იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისათვის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს.

სპორტსახკომის კოლეგიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა მონაწილეობით აღნიშნული დადგენილება ორი კვირის ვადაში განიხილონ რესპუბლიკის ნაკრებ და საკლუბო გუნდებში სპორტის სახეობების მიხედვით.

პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს (თ. ეფენტი) უურადღება მიექცეს სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრებ გუნდებში აღზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისადმი კონტროლის გაძლიერების აუცილებლობას.

აღინიშნოს ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის (ლ. ბერძენიშვილი) არასაკმარისი უურადღება გუნდისა და მოთამაშეების იმ კოლექტივის ტრადიციების ერთგულების გრძნობით აღზრდისადმი, რომლის სახელსაც ატარებენ.

ამ დადგენილების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ჯ. ბაგრატიონს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. შარაშიძეს.

საქართველოს ჩემპიონატი წყალში ხტომაში

იმედებს ამართლებენ

საქართველოს წყალში მხტომელთა შეჯიბრებები, სპორტის სხვა სახეობებში გამართულ ასპარეზობებისგან იმით გამოირჩევა, რომ ამ შეჯიბრებაში გამოსელას თავს არ აირიდებენ სახელოვანი სპორტსმენები. მაგალითად, ახლახან თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლისო კომბინატში გამართულ საქართველოს პირადგუნდურ ჩემპიონატში სხვებთან ერთად მსოფლიო თასის გათამაშების მეორე პრიზიორი გიორგი ჩოგოვაძე და ჩვენი ქვეყნის ექსჩემპიონი დიანა მშვედლიძეც მონაწილეობდნენ.

ეს თბილისელი სპორტსმენები, სპორტის სხვა მიმდევრებისგან გასხვავებით, რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ერთსაირი მონდომებით ცდილობენ დაგანათონ ოსტატობის ჩვენებას, ერთიც და მეორეც წარმატებით გამოდის საქართველოს პირველობებზე, ისინი თავიანთი შედეგებით წინ მიუძღვიან შეჯიბრების დამსრულებელ მონაწილეებს, რომლებიც თავის მხრივ ცდილობენ არ ჩამორჩნენ გამარჯვებულებს. დიახ, მათი წყალობით „მისაური“ ასპარეზობები მაღალ დონეზე ტარდება.

ამჯერად ჩოგოვაძემ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, რაც რესპუბლიკურ ასპარეზობებში ინვიანთი შედეგია. ამას გარდა, სპორტსმენმა ცხრა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა.

ისევს ამართლებენ უმცროსი ასაკის თბილისელი წყალში მხტომელები გოჩა გაბარია და ვაჟა ბიჭაშვილი. ისინი ამჯერადაც საპატიო კვარცხლბეკზე ვიხილეთ.

ჩვენს წყალში მხტომელებს თბილისელი მოსწავლის ნინა ხუბეერიძის სახითაც კარგი „თანამებრძოლი“ ეზრდებათ. ნინამ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა.

ტრადიციულად, წყალში ხტომელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წარმომადგენლები გამოდიან, მაგრამ, ამჯერად შეჯიბრებას თავი აარიდეს მათეშელებმა.

ალექსანდრ ჯაფარიძე.

21 ივლისი

ქალები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ლ. მშვედლიძე — 436, 10, ს. კაიფაჯანი — 391,83, ვ. ტაბატაძე (სამეგრელო — თბილისი) — 358,26; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** მშვედლიძე — 458,61, კაიფაჯანი— 411,85, ნ. ბოლქვაძე (თბილისი) — 383,67; **კოშკი.** მშვედლიძე — 365,74, ვ. ნებიერიძე (თბილისი) — 328, კაიფაჯანი — 323,04.

კაცები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ა. შუქურიანი — 506,15, გ. გაბარია — 505,28, ვ. ბიჭაშვილი (ყველა — თბილისი) — 502,75; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** ჩოგოვაძე (თბილისი) — 522,84, გაბარია — 521,79, გ. შელეგოვი (თბილისი) — 504,24, **კოშკი.** ჩოგოვაძე — 642,24, გაბარია — 517,72, შუქურიანი — 398,39.



დიანა მშვედლიძე

ავტორის ფოტო.

სსრ კავშირის თასზე

25 ივნისს გაიმართა ფუტბურთში სსრ კავშირის თასის ოცდამეთორმეტედფინალის შეხვედრები.

დიდ წარმატებას მიაღწია სოხუმის დინამოელთა კოლექტივმა. სოხუმელები შეტოქის მინდორზე შეხვდნენ I ლიგის გუნდს—ორჯონიკიძის „სპარტაკს“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

სტუმრად თამაშობდნენ საქართველოს სხვა გუნდებიც. ქუთაისის ტორპედოელებმა მოსკოვში წაიგეს „კოსმოსი პრესნიასთან“ — 0:1, ხოლო ფოთის „კოლხეთი“ ვოლგოგრადში დამარცხდა „როტორთან“ — 1:2.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „დუბავი“ (რიგა) — „შეტალურგი“ (ბაპორიოეე) 2:1, „ნივა“ (ტერნოპოლი) — „კრიეგანი“ (კრიეგი როგი) 2:1, „იტლანტი“ (კალინინგრადი) — „ეკლიპსი“ (ნიკოლაევი) 2:0, „ტორპედო“ (ლუცკი) — „ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ავანგარდი“ (ყირიმი) 3:2, „მინაი“ (ირინოლაგელ) — „შეტალურგი“ (ლიპეცკი) 1:0, „ატლანტი“ (ეროგოროდნაია) — „სოკოლი“ (სარატოვი) 1:0 (დამატებით დროში), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კოტაიკი“ (ანოფაანი) 4:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:2, „ფახთაკორი“ (ანდიჯანი) — „ბეიოლოგი“ (ტიუმენი) 4:2, (დამატებით დროში), „ნეფტიანიკი“ (ფერგანა) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „ფახთაკორი“ (ტაშკენტი) — „ხიმიკი“ (ჯამბული) 3:1, ასკ „ლენინის რომატოვი) — „ურალმაში“ (ეკატერინბურგი) 6:7 (მატჩი 0:0, დამატებითი პენალტებით 6:7).

მსოფლიოს სტადიონებზე

ფილადელფია. „მუნდიალიტოს“ აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში წარმატებას მიაღწიეს იტალიის გუნდებმა „ინტერმა“ და „მილანმა“. „ინტერმა“ ანგარიშით 3:1 დამარცხა ესპანეთის „ბარსელონა“, ხოლო „მილანმა“ — საფრანგეთის „სენ-ჟერმენი“ — 1:0.

პირველი გამარჯვებები მოიპოვეს პორტუგალიის „პორტომ“ და ესპანეთის „ბარსელონამ“. პორტუგალიელებმა ანგარიშით 2:0 დამარცხეს იტალიის „ინტერი“, ხოლო ესპანელებმა მოუგეს პარიზის „სენ-ჟერმენს“ 3:1.



საქართველოს პირველობა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები II ჯგუფის გუნდებს შორის.

I ჯგუფი. „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 1:5, სპა-„დინამო“-3 (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:2, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (ბეთანია) — „შშეფუნელი“ (რუსთავი) 1:2, „სამგორი“ (გარდაბანი)—„სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი) 3:1, „მოთი-35“ (თბილისი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:0, „შირაქი“ (წითელი წყაროა) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1:1, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:0, „ფოლტაბეტი“ (თბილისი) — „მახტრიონი“ (ახმეტა) 2:3.

II ჯგუფი. „განთიადი“ (დმანისი) — „ბარისი“ (თეთრი წყაროა) 0:2, „ფარავანი“ (მოგდანოული) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:0, „მეაკეკენ“ (ახალდაბა) — „ალგეთი“ (მარნეული) 0:0, „ახეული“ (ახალქალაქი) — „შეფრინველი“ (ყასახი) 2:0, „მარაბდა“ (ყოდა) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 5:5, „ეარინა“ (ასპინძა) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1, „თორი“ (ბორჯომი) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 5:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ზარზმა“ (ადიგენი) 3:1, „ბაგრატი“ (ჯავა) — „ლიხეთი“ (ცხინვალის რ-ნი) 1:3.

III ჯგუფი. „სპორტი“ (ბაიკოფეკი) — „იბერია“ (ქარელი) 6:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „მაღარიელი“ (ტყიბული) 0:3, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „ცენტრმეტალურგშენი“ (ზესტაფონი) 1:1, „ხეკილი“ (ცაგერი) — ხიდ (სამტრედია) 3:1, „ჩხეროელი“ (ორჯონიკიძე) — „იბერეთი“ (წულეკიძე) 0:0.

IV ჯგუფი. „დარბელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „შეშარტე“ (ტყვარჩელი) 3:1, „დინამო“-2 (ბათუმი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 2:1, „ნარინჯი“ (გონიო) — „მზიური“ (გალი) 0:4, „ბახმარო“ (ჩობარეთი) — „განთიადი“ (ოზურგეთი) 5:3, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:0, „ოდიში“ (ზუგდიდი რ-ნი) — უნივერსიტეტი (ბათუმი) 1:1, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 2:1, „დვაბზუ“ (მახარაძე) — „კოლხეთი“-2 (ფოთი) 1:2.

გათამაშების ცხრილები

II ჯგუფი

I ჯგუფი

მდგომარეობა 27 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.
„ბახტრიონი“	15	12	1	2	40-14	25
„შშეფუნელი“	15	9	5	1	31-14	23
„მეტალისტი“	15	11	1	3	29-13	23
„თუშეთი“	15	10	2	3	33-17	22
„ჰერეთი“	15	9	2	4	26-10	20
„სამგორი“	15	9	2	4	26-13	20
უნივერს. თბ.	15	7	4	4	17-13	18
ს-საც. ბ. შუს.	15	6	5	4	13-10	17
„ალაზანი“	15	5	4	6	28-18	14
სპა-„დ.“-3 თ.	15	5	4	6	27-23	14
„ფოლტაბეტი“	15	5	4	6	26-25	14
„ვარდისუბ.“	15	4	3	8	16-22	11
„მოთი-35“	15	4	2	9	17-36	10
ს-სამ. ინ. თბ.	15	2	6	7	14-21	10
„შირაქი“	15	3	3	9	14-38	9
„სინ.-სპ.“ თბ.	15	2	5	8	16-30	9
„გარეჯი“	15	2	3	10	21-36	7
„ქიზიყი“	15	2	0	13	15-56	4

II ჯგუფი

„არაგვი“	15	10	5	0	42-14	25
„ახეული“	15	9	5	1	35-13	23
„ბარისი“	14	9	1	4	27-19	19
„კოლ.“ მარ.	14	8	2	4	33-22	19
„თორი“	15	7	4	4	33-16	18
„ეარინა“	15	7	3	5	29-18	17
„ალგეთი“	15	6	5	4	25-16	17
„შეფრინ.“	15	7	2	6	24-18	16
„მარაბდა“	15	5	6	4	21-21	16
„მესხეთი“	14	6	3	5	24-20	15
„ლიხეთი“	15	5	5	5	16-17	15
„ავტომობ.“	15	5	4	6	26-25	14
„მეაკეკენ“	15	3	6	6	14-19	12
„ფარავანი“	15	3	2	10	14-28	8
„ბაგრატი“	15	3	2	10	14-45	8
„ზარზმა“	14	2	4	8	18-33	8
„განთიადი“	15	3	1	11	11-45	7
„თრიალ.“	13	2	3	8	9-26	7

III ჯგუფი

„მაღარ.“	14	12	1	1	52-17	25
„იბერეთი“	15	10	4	1	26-8	24
„სპორტი“	15	9	4	2	33-10	22
„ხხერიელა“	14	8	2	4	17-8	18
„ჩიხურა“	12	8	2	2	24-15	18
ხდ. სამ.	14	8	1	5	24-13	17
„შშეფუნ.“	13	5	4	4	24-20	14
„ზანა“	13	5	2	6	21-20	12
„მამისონი“	13	4	3	6	19-26	11
პოლ. ინ. ჭ.	14	4	3	7	19-30	11
„ცენტრეტშშ.“	14	3	5	6	22-27	11
„მეშაკრე“	13	3	3	7	20-23	9
„ქიმიკოსი“	14	3	3	8	14-33	9
„ჭოგნარი“	12	3	2	7	20-30	8
„იბერია“	14	2	4	8	13-32	8
„ხვამლი“	14	3	0	11	15-13	6
„ორპირი“	12	2	2	8	9-27	6

IV ჯგუფი

„მზიური“	14	11	3	0	39-17	25
„ოდიში“	14	9	3	2	32-14	21
„ჩიბათი“	15	9	3	3	36-15	21
„კოლხეთი-2“	14	7	4	3	27-18	18
„დარბელი“	14	7	4	3	18-12	18
„ნარინჯი“ ქ.	14	7	3	4	23-17	17
„ბახმარო“	14	6	4	4	22-18	16
„დვაბზუ“	14	6	4	4	26-23	16
„სუბტროპ.“	14	5	5	4	25-24	15
უნივერს. ს.	15	6	3	6	20-21	15
„ალიონი“	14	5	4	5	22-25	14
„ავტომობ.“	14	4	4	6	18-25	12
„განთიად.“ გ.	14	2	4	8	14-19	8
„მეშახტე“	14	4	0	10	22-39	8
„ნარინჯი“	14	2	4	8	14-26	8
„დინ.“-2“ ბ.	14	1	2	11	18-38	4
„განთიად.“ ტ.	14	1	1	12	14-39	3

• • •

შედგა საქართველოს პირველობის I ჯგუფის XIX ტურის გამოტოვებული მატჩი თბილისს „იმედი“-„დინამო“-2-სა და მცხეთის „არმაზს“ შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

სპორტულ ბაზებზე

ზუბზაურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 28 ივნისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი). დასაწყისი 12 საათზე.

ბუენოს-აირესი. მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინის ნაკრები გულმოდგინედ ემზადება სამხრეთ ამერიკის პირველობისთვის, რომელიც ამ ქვეყანაში გაიმართება. ნაკრებში გამოვა არგენტინის ყველა უძლიერესი ფეხბურთელი, მათ შორის დიეგო მარადონაც. ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშებენ ბჩოლიდ ვალდანი და ბერუნგა.

პორტო-ალეგრე. სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის დაწყების წინ ბრაზილიის ნაკრებმა აქ მიიღო პარაგვაის გუნდი და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდი ძალზე უხეშად თამაშობდა, ბრაზილელმა მსაჯმა არაგვამ მინდვრიდან გააძევა სამი პარაგვაელი და ერთი ბრაზილელი ფეხბურთელი.

ციურიხი. ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომისიამ დისკვალიფიკაცია გამოუტანა იტალიის ჭაბუკთა ნაკრებს (მოთამაშეთა ასაკი— 16 წლამდე) და უკრძალა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ჭონაწილეობა, რომელიც ამ ზაფხულს გაიმართება კანადაში.

ამის თაობაზე უეფა-მ საგანგებო კომუნიკე გამოაქვეყნა, რომ იმ მატჩებში, რომლებიც იტალიელებმა წინასწარ ტურნირში მოიგეს, მათს რიგებში გამოდიოდა უფრო მოზრდილი ასაკის მოთამაშე. მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ახლა ევროპიდან გამოვლენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდები, აგრეთვე, თურქეთ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყვილნი გამარჯვებულნი.

უეფა-მ სანქცია გამოიტანა, ბელგიის ახალგაზრდული ნაკრების (ასაკი — 21 წლამდე) მიმართაც და დასჯა ჩაუთვალა ირლანდიის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. ბელგიელთა რიგებში გამოდიოდა 3 ფეხბურთელი, რომლებიც 21 წელზე მეტი ხნისა არიან, დებულებით კი მხოლოდ ორი ასეთი მოთამაშის გამოყენებაა ნებადართული.

პირველ ტურნირს სუბოტიცა მასპინძლობს

იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი საზონათშორისო ტურნირი. პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები პრეტენდენტთა შეჯიბრებაში გამოვლენ. წილისყრის შემდეგ მონაწილენი ასე განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: ლევ ალბურტი (აშშ), ამადორ როდრიგესი (კუბა), ჰამეტი (ეგვიპტე), ალონზო ზაპატა (კოლუმბია), მიხეილ ტალი (სსრ კავშირი), ზოლტან რიბლი (უნგრეთი), ალექსანდრე ჩერნინი (სსრ კავშირი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), დევაკ პრასადი (ინდოეთი), სლავოლიუბ მარიანოვიჩი, პეტარ პოპოვიჩი (ორივე — იუგოსლავია), ლიუბომირ კავალეკი (აშშ), თომას ერნსტი (შვეიცია), დიულა საქსი (უნგრეთი), ვასილი სმისლოვი (სსრ კავშირი), ჯონათან სპილმენი (ინგლისი), ჟინგუან ქსუ (ჩინეთი). ბოლო წუთს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა, დასავლეთგერმანელმა დიდოსტატმა რობერტ ჰიუბნერმა.

გთავაზობთ პირველი ოთხი ტურის შედეგებს:

I ტური: როდრიგესი-ქსუ — 1:0, ჰამეტი-სპილმენი — 0:1, რიბლი-ერნსტი — 1:0, ჩერნინი-კავალეკი — 0,5:0,5, შორტი-პოპოვიჩი — 1:0, პრასადი-მარიანოვიჩი — 0:1. გადაიდო ზაპატა-სმისლოვის პარტია. ტალის ავადმყოფობის გამო მისი შეხვედრა საქსთან გადატანილია.

II ტური: სმისლოვი-ტალი — 0,5:0,5, საქსი-რიბლი 0,5:0,5, კავალეკი-შორტი — 0,5:0,5, პოპოვიჩი-პრასადი — 0,5:0,5, ალბურტი-როდრიგესი — 0,5:0,5, ქსუ-ჰამეტი — 0,5:0,5, ჩერნინი-ერნსტი — 0:1, სპილმენი-ზაპატა — 1:0.

III ტური: ტალი-სპილმენი — 1:0, შორტი-ერნსტი — 1:0, ზაპატა-ქსუ — 1:0, რიბლი-სმისლოვი — 0,5:0,5, მარიანოვიჩი-პოპოვიჩი — 0,5:0,5, ჰამეტი-ალბურტი — 0,5:0,5, პრასადი-კავალეკი — 0,5:0,5. ჩერნინი-საქსის პარტია გადაიდო.

IV ტური: საქსი-შორტი 1:0, სმისლოვი-ჩერნინი — 0,5:0,5, სპილმენი-რიბლი 1:0, ქსუ-ტალი — 0:1, როდრიგესი-ჰამეტი — 1:0.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ სამი ქულით დაწინაურდა ჯონათან სპილმენი. 2,5 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს მიხეილ ტალს. 2,5-2,5 ქულა მაგროვებს ამადორ როდრიგესმა და ნაიჯელ შორტმა.

ფინალი — სექტემბერში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ქალაქის მოსწავლეთა პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრება, რომელიც 11 ტურად ჩატარდა. ფინალში თამაშის უფლება თორმეტმა გოგონამ მოიპოვა. თავი გამოიჩინეს ნინო ქევხიშვილმა, თამრიკო როჭიკაშვილმა, ნანა გოგორიშვილმა, ელისო ტაბატაძემ და სხვებმა.

ჭაბუკთაგან ფინალში შვიდი მოჭადრაკე გავიდა. მათგან გამოირჩეოდნენ: თორნიკე კერძაია, სერგეი დანილოვი, ედიკ მანოიანი, ზაზა ქოენიშვილი...

ფინალური შეჯიბრება სექტემბერში გაიმართება.

დოპინგის მიღებისთვის მკაცრი სასჯელი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 92-ე სესიამ (იგი სტამბულში ჩატარდა) დოპინგის მიღებისთვის მკაცრი სანქციები დააწესა. პირველად შემჩნეული სპორტსმენი ავტომატურად იხსნება შეჯიბრებიდან. ამავე დროს მას ყველა ჯილდო ჩამოერთმევა და სამი თვით შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება წაერთმევა. განმეორებით შემთხვევაში დისკვალიფიკაციის ვადა ორი წლით გაიზრდება. მესამედ შემჩნეულ სპორტსმენს კი სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

ბრძოლა კი თანაბარი იყო

დასასრული

ქართველოს ნაკრებში კვლავ გამოიჩინეს თავი დავითიანმა და ბურდულმა).

მეოთხე პერიოდი. ჩვენი გუნდის სახიფათო შეტევა, ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა მოიგერია მეკარემ, სწრაფი კონტრშეტევა და... სტუმრებმა ანგარიში კვლავ გაათანაბრეს — 5:5. სულ მალე ზაბოროვსკიმ შესანიშნავი დარტყმით აიღო ჩვენი ნაკრების კარი და მეტოქე ამ მატჩში პირველად დაწინაურდა — 6:5. შემდეგ ანგარიში ისევ გათანაბრდა (დავითიანი) — 6:6. მატჩის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე კი ორი ბურთით წინ სტუმრები გავიდნენ. ამ სიტუაციაში საქართველოს ნაკრები კვლავ იჩენს სიმტკიცეს, მატჩის ძირითადი დრო მთავრდება ფრედ — 8:8 (ბურთები გააქვთ პატარიძეს და გონაძეს).

ორი დამატებითი სამწუთიანი ტაიმი. 1:1 (9:9). ბურთი გაიტანა დავითიანმა.

ოთხმეტრიანების პირველი სერია. 4:4.

დამატებითი ოთხმეტრიანების სერია პირველ შეცდომამდე 0:1.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა დაკარგა ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება და მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებს.

მეორე ნახევარფინალური მატჩი

რსფსრ (განათლების სამინისტროს ნაკრები) — პროფკავშირები-2 6:7 (ძირითადი დრო 6:6, 1:2, 4:1, 1:3, 0:0).

მსაჯები: ვ. ხრომოვი (ხარკოვი) ა. კოსტანიანი (ერევანი).

• • •

ამავე დღეს გაიძართა მატჩი V ადგილისთვის.

პროფკავშირები-1 (სსრკ ნაკრები) —„დინამო“ (სსრ კავშირის ნაკრები) 6:8 (1:1, 1:3, 4:3, 0:1).

მსაჯები: ვ. გალიჩნიკოვი (ბაქო), ვ. ნაჯაფოვი (ბაქო).

მატჩის შემდეგ

ექსპერტიკომენტარი. ვლადიმერ პროიზვოლოვი — სამხრეთის ზონის და საქართველოს ნაკრები გუნდების ნახევარფინალური მატჩის არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი: საერთაშორისო ასპარეზზეც კი, სადაც ძირითადად გამოცდილი ოსტატები გამოდიან, იშვიათად მინახავს ამგვარი დაძაბული მატჩი. ეს ალბათ იმიტომ, რომ სარბიელზე იყვნენ თანაბარი ძალის გუნდები. თავად განსაჯეთ, ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, გამარჯვებული ვერც დამატებითმა ექვსმა წუთმა გამოავლინა და ვერც ოთხმეტრიანების პირველმა სერიამ. საქმეში ძელი რომ არ „ჩარეულიყო“ (ჩვენმა წყალბურთელმა ოთხმეტრიანების ბოლო სერიაში ძელს მოარტყა ბურთი — რედ.), ალბათ ტრიბუნებზე კიდევ დიდხანს არ დაცხრებოდა მღელვარება...

როგორც ვთქვით, გუნდები თანაბრად ძლიერად თამაშობდნენ, მაგრამ დავითიანი და გონაძე, ჩემი აზრით, მაინც გამოირჩეოდნენ სხვებისაგან. მინდა გავამხნევო საქართველოს ნაკრების წყალბურთელი (მეოთხე ნომერი), გადამწყვეტი ბურთი ძელს რომ მოარტყა: სარბიელზე ბევრი გაუთვალისწინებელი რამ ხდება. დიახ, ამჯერად ფორტუნა სამხრეთის ზონის გუნდს უფრო სწყალობდა.



ჩვენი თანამემამულე



თემურ შენგელია, დაბადებული 1971 წელს, პირველთანრიგოსანი, „დინამოს“ წევრი.

— ოთხი წლის წინათ ჩავეწერე წყალბურთის სექციაში და მწვრთნელ იური სომოვის ხელმძღვანელობით დავიწყე ვარჯიში. ამჟამად მოსკოვის „დინამოში“ ვთამაშობ, ამ ნაკრებში კი ერთი თვეა გამოვდივარ.

— ალბათ მიხვდით, თქვენით ქართული გვარის გამო დავინტერესდით.

— დიახ, მე ქართველი ვარ. მამაჩემი, კარლო შენგელია, ელოსპორტში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელია, და საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებს.

თბილისში ხშირად ჩამოვდივარ, მოსკოვში ვცხოვრობ, იქვე ვსწავლობ, მე-9 საშუალო სკოლაში.

რაც შეეხება ამ შეჯიბრებას, ჩემთვის იგი წინანდელ შეჯიბრებებზე მნიშვნელოვანია.

მინდა მოსკოვის „დინამოში“ ვითამაშო, თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცი, ჩემგან ნამდვილი სპორტსმენი დადგება თუ არა. მაგრამ სადაც უნდა ვითამაშო, მოსკოვის თუ თბილისის „დინამოში“, შევეცდები სახელგანთქმული ქართველი წყალბურთელების ღირსეული მემკვიდრე ვიყო.

ზორანა ზირცხალავა.

გუშინ...

გაიმართა ბოლო შეხვედრები. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა სძლია რსფსრ-ის ნაკრებს. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 5:5. დამატებით ორ 3-3 წუთიან ტაიმებში მეტოქეებმა მხოლოდ თითო ბურთი გაიტანეს. შემდეგ ჯერი მიდგა 4-მეტრიან საჯარიმო დარტყმების სერიაზე, სადაც ჩვენმა ნაკრებმა იმარჯვა — 6:4. საბოლოოდ — 12:10. ქართველ წყალბურთელებს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

შემდეგ შედგა ფინალური მატჩი. სამხრეთი ზონის ნაკრები შეხვდა პროფკავშირების მეორე ნაკრებს. თამაშების ჩემპიონის წოდება სამხრეთელებმა მოიპოვეს. შეხვედრის ანგარიშია — 9:6 (2:1, 4:2, 2:1, 1:2).

სან-ჰოსე. აშშ-ს ჩემპიონატი მძლეოსნურ მრავალჭიდში ქალთა შორის მსოფლიოს რეკორდსმენმა ჭეკი ჯოინერ-კერსიმ მოიგო — 6979 ქულა. ვაჟებში უძლიერესი ტიმ ბრაატა იყო — 8340 ქულა.

ჭრილა „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიო რეკორდსმენმა ჰოკით ხტომაში დონეცკელმა სერგეი ბუბკამ 603 სანტიმეტრი დასძლია. 23 წლის სტუდენტმა თავისივე მსოფლიო რეკორდი 2 სანტიმეტრით გაუუმჯობესა.

ჩელენჯერი — ეკიპაჟი



ბელგრადი. იუგოსლავიის სტუდენტ კალათბურთელთა ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადება, ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა მიჩიგანის (აშშ) შტატის გუნდთან და ორივე მოიგო — 102:71 და 90:72. იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეები დრაჟენ და ალექსანდრე პეტროვიჩები, გრობოვიჩი, რადოვიჩი და ცვეტიჩანინი.

ბრატისლავა. მშვიდობის მომავალი ველოსიპედოლა სტარტს გაისად მაისში, ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში აიღებს. სულ ველოსიპედისტებს დასაფარი ექნებათ 2000 კილომეტრზე მეტი. ეს მანძილი 13 ეტაპად დაიყოფა.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ქარცეცხლიან დღეთა უკვდავსაყოფად

ქართველმა სპორტსმენებმა გმირობისა და ვაჟკაცობის არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში. სამშობლოსათვის თავდადებისა და უსაზღვრო სიყვარულის მაგალითები გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის გმირებმა, წყალბურთელმა გიორგი მერკვილაძემ და ჩოგბურთელმა ვახტანგ ლეჟავამ, ტახმოვარჯიშე კონსტანტინე ზაალიშვილმა და მოკრივე შალვა დვალმა, მძლეოსანმა-რეკორდსმენმა დიმიტრი იოსელიანმა, მოამსვლელებმა ბექნუ ხერგიანმა, კონსტანტინე ასტახიშვილმა, მოჭიდავე შალვა ნოზაძემ და სხვებმა.

მათი საქმეების უკვდავსაყოფად საქართველოს სპორტსახკომმა და რესპუბლიკის სპორტის ვეტერანთა საბჭომ გადაწყვიტეს გამოსცენ წიგნი „საქართველოს სპორტსმენები დიდ სამამულო ომში“.

ამასთან დაკავშირებით სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკურმა საბჭომ თხოვნით მიმართა ომის მონაწილე სპორტსმენებს აღწერათ საბრძოლო ეპიზოდები და მოეთხროთ როგორ გამოადგათ სპორტული წრთობა ფრონტზე, მტერთან უთანასწორო ბრძოლებში.

სამწუხაროდ, ბევრი მხოლოდ ბრძოლების აღწერით დაკმაყოფილდა და სპორტულ წარსულზე (პირად წარმატებებზე) არაფერს იწერება, ამიტომ მათი პასუხები სრულყოფილი არ არის. გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე: 1. გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების ადგილი, წელი, თვე და რიცხვი, ზუსტი მისამართი (ინდექსით). 2. როგორ დაიწყო თქვენი სპორტული ბიოგრაფია, რა შედეგებს მიაღწიეთ (მათგან უმაღლესი), გაქვთ თუ არა სპორტული წოდება. 3. რომელ ფრონტზე იბრძოდით, დაასახელეთ ნაწილი, დივიზია, არმია. აღწერეთ რომელიმე ბრძოლის ეპიზოდი თქვენი მონაწილეობით. მოგვწერეთ, აგრეთვე, თანამემამულე სპორტსმენების (დაღუპულთა) შესახებ. პასუხი გამოგზავნეთ 1987 წლის 31 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. ჭიდაობის სპორტსკოლა, ო. დიდებულიძეს.

დარწმუნებულნი ვართ, დაგვეხმარებით, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 27 ივნისი. დილის დაჟურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **10.00 (2);** საკალათბურთო მიმოხილვა — **16.50 (2);** სპორტული პროგრამა — **20.00 (2);** ევროპის თასი მძლეოსნობაში — **0.15 (2);** უიმბლდონის ტურნირი — **0.40 (2).**

საქართველოს ტელევიზია. 27 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — **20.00.**

საქართველოს რადიო. 27 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ყალგირისი“ (ვილნიუსი) — **21.00** (II ტაიმის რადიორეპორტაჟი).

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, 25-ე ტირაჟებისა, რომლებიც 21 ივნისს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: გაიყიდა 732743 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (31 ბარათი) მოგება 2210 მანეთია, ოთხისთვის (1433) — 46, სამისთვის (28457) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 6834769 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (7 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (2787) — 253, სამისთვის (115750) — 11.

25-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 6 ივლისიდან 6 ავგისტოს ჩათვლით.

გლდანის სასოფლო საბჭოსა და პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს ინიციატივით 27 ივნისს კულა გლდანელის სახელობის საჭიდაო დარბაზის არენაზე გაიმართება ჭიდაობის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება

ქართულ ჭიდაობაში

დასაწყისი 12.00 საათზე.

ქვირას, დილის 11 საათიდან ძველ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით გაიმართება მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. პროგრამაშია სქეითბორდი, საჯილდაო ქვის აწევა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შშეიდლოსნობა, პნევმატური იარაღის სროლა, ქართული ჭიდაობა, ლახტი.

28 ივნისს მთელს ჩვენს ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნება საბჭოთა ახალგაზრდობის დღე.

ამასთან დაკავშირებით, ქვირას, სალამოს 9 საათიდან ძველ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე კომკავშირის საქალაქო კომიტეტი აწყობს ახალგაზრდული შეხვედრების სალამოს, რომელსაც დაამშვენებს სხვადასხვა საინტერესო სანახაობები, გამოფენები, მეჯლისი..

ზეიმზე დასწრების მსურველთათვის გამოყოფილია სპეციალური სავტობუსო მარშრუტი ქალაქის სხვადასხვა უბნიდან რიყის მიმართულებით. ღონისძიების დამთავრების შემდეგ იგივე ავტობუსები რიყის ტერიტორიიდან უკანვე გადაიყვანენ მგზავრებს.

ინდექსი: 66425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარულის ქ. 29. უე 06976